

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
2100 ზუგდიდი, რუსთაველის
ქუჩა N90



MUNICIPAL COUNCIL
OF ZUGDIDI
№90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI
GEORGIA

ქ. ზუგდიდი

15 თებერვალი 2017წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩევის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის
რეაბილიტაციის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის
მეორე პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 14 თებერვლის
№02/755 მომართვის (სარეგისტრაციო N106/03 14.02.2017წ) საფუძველზე,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მოწონებულ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩევის ადმინისტრაციულ ერთეულში
საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო წინადადება;
2. ნება დაერთოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ამ განკარგულებაში ჩამოთვლილი
საპროექტო წინადადებები წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროში შესათანხმებლად.
3. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მიღებული
განკარგულების გადაგზავნა;
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი გრ.
ქობალიას ქ. №12).

მ. ნახავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

